

შემოქმედებითი და განმავითარებელი აქტივობები

ქვემოთ წარმოდგენილი აქტივობები დაეხმარება მშობლებს, მასწავლებლებს და სპეციალურ მასწავლებლებს სახლის პირობებში სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შესთავაზონ მოსწავლეებს მარტივი, საინტერესო და განმავითარებელი აქტივობები.

#დარჩისახლში
#ისწავლეთამაშით



1. ნიმუშის მიხედვით გეომეტრიული ფიგურების დამზადება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმა და ფერების გარჩევა;
- გეომეტრიული ფიგურების გარჩევა;
- კუთხისა და გვერდების ცნებების განსხვავება;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარის განვითარება;
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ A2 ზომის თეთრი ფურცლები
- ✓ ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები (ფურცელზე ფიგურების გამოსახვისთვის)
- ✓ თანაბარი ზომის სხვადასხვა ფერის ძაფები (ან საწრუპები). შესაძლებელია ფერადი პლასტელინების გამოყენება ძაფების მსგავსი ფორმების მიცემის შემთხვევაში.

აქტივობის აღწერა:

ფურცლებზე წინასწარ დახატეთ სხვადასხვა მარტივი ფიგურა და ფორმა. მოსწავლეს მიაწოდეთ თანაბარ ზომაზე დაჭრილი სხვადასხვა ფერის ძაფები ან საწრუპები. მოსწავლის წინ ვდებთ რომელიმე ფიგურის გამოსახულებას და ვთხოვთ, რომ ძაფებიდან ამოარჩიოს შესაბამისი ფერები და შექმნას ნიმუშის მსგავსი ფიგურა. საწყის ეტაპზე, შესაძლებელია დასჭირდეს ჩვენი დახმარება, ხოლო, შემდგომში, ნელ-ნელა შეამცირეთ დამხარება და წაახალისეთ მისი დამოუკიდებლად შესრულება. თავდაპირველად გამოსახული ფიგურის გვერდების ფერები შესაძლებელია იყოს მხოლოდ ერთი ფერის. ნელ-ნელა გაამრავალფეროვნეთ და ფიგურების გვერდები დახატეთ სხვადასხვა ფერში. ეტაპობრივად შესთავაზეთ უფრო კომპლექსური ფორმები, გაზარდეთ ფიგურების გვერდების რაოდენობაც. შესაბამისად, გაიზრდება მისი შესრულების სირთულეც.

2. გეომეტრიული ფიგურების დაჯგუფება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- გეომეტრიული ფიგურების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მოქმედება;
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- შემეცნებითი უნარები - დაჯგუფება, კატეგორიზაცია;
- ვიზუალური დისკრიმინაცია - თვალსაჩინო მასალებში დეტალების შემჩნევის, ფიგურებსა და ფორმებში მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირების უნარი;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ფერადი ფურცლები;
- მაკრატელი ფიგურების გამოჭრისათვის;
- დიდი ზომის მუყაოს ქაღალდი

აქტივობის აღწერა:

დიდ მუყაოს ქაღალდში ამოჭერით რამდენიმე ფიგურა (სამკუთხედი, კვადრატი, მართკუთხედი, წრე, ოვალი). ფერად ფურცლებზე დახატეთ აღნიშნული ფიგურები, მაგალითად, ყვითელზე სამკუთხედი, მწვანეზე კვადრატი, წითელზე წრე, ლურჯზე მართკუთხედი და ვარდისფერზე ოვალი (თითოეული ფიგურა 5-5 ცალი) და გამოჭერით. აურიეთ ერთმანეთში გამოჭრილი ფიგურები. დადეთ მუყაოს ქაღალდი, მიაწოდეთ არეული ფიგურები და სთხოვეთ, შესაბამისი ფორმის ფიგურები მოათავსოს მუყაოს ქაღალდის მსგავსი ფორმის ჭრილში.

3. ფერებისა და მიმდევრობის აქტივობა

ვითარდება უნარები:

- აღქმა - ფერების გარჩევა
- ვიზუალურ-მოტორული უნარები
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება
- შემეცნებითი უნარები - დაჯგუფება, მიმდევრობა;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- პლასტელინი;
- წვრილი და გრძელი ჯოხები ან სპაგეტი;
- ფერადი საწრუპები ან მილის ფორმის მაკარონი;
- მაკრატელი (საწრუპების დასაჭრელად);
- ფერადი საღებავები (მილის ფორმის მაკარონის შესაღებად);

აქტივობის აღწერა:

პლასტელინში ვარჭობთ წვრილ და გრძელ ჯოხებს ან სპაგეტს. ფერად საწრუპებს ვჭრით პატარა ზომებად და ავურევთ ერთმანეთში ან მილის ფორმის მაკარონებს საღებავებით ვღებავთ სხვადასხვა ფერებად; აქტივობის მარტივი ვარიანტის შემთხვევაში, დაჭრილი საწრუპებიდან (ან მაკარონებიდან) ვთხოვთ ამოარჩიოს ერთი ფერის, მაგალითად, მწვანე და ჩამოაცვას ჯოხებზე.

შედარებით რთული ვარიანტის შემთხვევაში, ვთავაზობთ ფერების გარკვეულ თანმიმდევრობას, მაგალითად ორ ელემენტიანს, წითელი, მწვანე, წითელი, მწვანე, წითელი, შემდეგ ვთხოვთ თავად გააგრძელოს. შესაძლებელია უფრო გართულება და 3 ან 4 ელემენტიანი მიმდევრობის შესრულება, მაგალითად, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი, მწვანე. მსგავსი აქტივობის განხორციელება შესაძლებელია ღილებითაც.

4. წერის წინმსწრები უნარების განმავითარებელი აქტივობა

ვითარდება უნარები:

- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- წინარე აკადემიური უნარების განვითარება - წერა, კითხვა, ფიგურების ცნობა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებული მოქმედება
- საკუთარი სახელის ჩაწერა;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- კონტეინერი (ოთხკუთხედი ფორმის);
- მარცვლეული (ბრინჯი, წიწიბურა, ოსპი), მარილი, ფქვილი ან შაქარი;
- ჯოხი ან ფუნჯი;
- ფურცლები;
- მაკრატელი;
- ფლომასტერი.

აქტივობის აღწერა:

კონტეინერში ყრით თქვენთვის ხელმისაწვდომ მარცვლეულს, ფქვილს, მარილს ან შაქარს ისე, რომ დაიფაროს ზედაპირი. ფურცელზე ხატავთ ფორმებს (სწორი ხაზი, ზიგზაგი, ტალღოვანი) ან ფიგურებს. დაჭრით ბარათებად და დებთ კონტეინერის წინ. სთხოვთ, რომ ფუნჯის, ჯოხის ან თითის საშუალებით გამოსახოს ნიმუშის მსგავსი ფორმები. ნელ-ნელა შეგიძლიათ გაართულოთ და შესთავაზოთ ჯერ ასოების, შემდგომ მარცვლების და ბოლოს მცირე სიტყვების ნიმუშები და სთხოვოთ გამოსახვა. ბოლოს გადახვიდეთ საკუთარი სახელის გამოსახვაზე.

5. სახლის აშენება პლასტელინის და მაკარონის გამოყენებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული უნარის განვითარება;
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- წარმოსახვის უნარი;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სპაგეტი ან ნებისმიერი მაკარონი
- ✓ პლასტელინი

აქტივობის აღწერა: ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ მხოლოდ ფერადი პლასტელინი და ერთი ან რამდენიმე ფორმის უმი მაკარონი, ან სპაგეტი. ორივე მათგანი ამ შემთხვევაში საშენი მასალაა, შეეცადეთ პლასტელინის დახმარებით ისე შეაწებოთ მაკარონები ერთმანეთს, რომ ააწყოთ სახლი, სურათზე მხოლოდ ნიმუშებია ნაჩვენები, შეგიძლიათ შექმნათ სხვადასხვა ფორმის სახლები, შეასრულეთ ეს აქტივობა ბავშვებთან ერთად, ეს ერთობლივი თამაშის კარგი შესაძლებლობაა. ასევე, თამაშის პროცესში საგნების და ქმედებების სიტყვიერი აღწერა ენის, კომუნიკაციის და მეტყველების განვითარებას შეუწყობს ხელს.

6.თხრობის უნარის განვითარება ხელნაკეთი წიგნის დამზადებით

ვითარდება უნარები:

- თანმიმდევრული თხრობა;
- მეტყველება;
- მოვლენათა თანმიმდევრობის გააზრება;
- წაკითხულის გააზრება
- მოსმენელის/წაკითხულის ვიზუალურად აღწერა და თვალსაჩინო მასალის დახმარებით თხრობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- თეთრი და ფერადი ფურცლები
- ფანქრები

აქტივობის აღწერა:

თაბახის ზომის ფურცლები (3 ცალი) გავჭრათ შუაზე, შემდეგ გადავკეცოთ და ავკინძოთ "წიგნად", ისე რომ გამოვიდეს 6 გვერდი. წავიკითხოთ მოსწავლესთან ერთად მცირე ზომის მოთხრობა ან ზღაპარი, „მაგალითად წითელქუდა", ან „სამი გოჭი". შემდეგ ავიღოთ ჩვენს მიერ წიგნად შეკრული ფურცლები, ყდაზე დავახატოთ სათაურის შესაბამის სურათი და დავაწეროთ სათაური, მომდევნო გვერდებზე ჩავხატოთ მოვლენების შესაბამისად ამსახველი სურათები. **ხატვის ჩანაცვლება შესაძლებელია მოვლენების შესაბამისი სურათების ჩაკვრით.** შემდეგ ბავშვს ვთხოვთ, მის მიერ (ან ჩვენთან ერთად დამზადებული) წიგნის მიხედვით მოყვეს ზღაპარი.

7. კოლაჟების შექმნა სხვადასხვა ბურღულეულის გამოყენებით

ვითარდება უნარები:

- ნატიფი მოტორიკა
- აღქმა (ტაქტილური, მხედველობითი)
- წარმოსახვა
- ვიზუალურ მოტორული უნარები
- ყურადღების კონცენტრაცია
- შემოქმედებითობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- თეთრი ფურცლები A4 ზომის
- ნებისმიერი ბურღულეული, ბრინჯი, წიწიბურა, ლობიო, ოსპი, მაკარონი და სხვ
- ქაღალდის თეთრი წებო

აქტივობის აღწერა:

აქტივობისთვის თქვენ გჭირდება თითო მონაწილისთვის თითო თეთრი თაბახის ფურცელი, ხოლო „სახატავ“ მასალად იყენებთ ნებისმიერ ბურღულეულს, რასაც სამზარეულოში იპოვით. წესებია ასეთია, წებოს დახმარებით ესა თუ ის ბურღულეული გამოიყენეთ დააწებეთ ფურცელზე, წინასწარ დაგეგმეთ რის შექმნას აპირებთ, შესაძლებელია მარტივი ან უფრო რთული კოლაჟის შექმნა, მაგალითად ბრინჯით შეიძლება მზის, ხოლო სპაგეტის ნატეხებით სხივების შექმნა, სპაგეტით ბალახის გაკეთება, ხის აწყობა მაკარონებით, სახლის სახურავით ლობიოს მარცვლებით გაფორმება და ა.შ. ყველანაირ მარცვლეულს ბუნებრივი ფერი აქვს, ამიტომ ამ აქტივობას ფერებით მანიპულირების შესაძლებლობა აქვს, თუმცა შესაძლებელია ბრინჯის, მაკარონის შეღებვაც.

8. მოძებნე და დაასახელე

ვითარდება უნარები:

- მხედველობითი აღქმა
- ყურადღების კონცენტრაცია
- ენა, კომუნიკაცია, მეტყველება
- საგნების სახელდება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- გარემოში, ოთახში არსებული ნივთები

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობის შესრულებისთვის თქვენ იყენებთ მხოლოდ იმ საგნებსა და ნივთებს, რაც იმ ოთახში, ან ეზოშია, სადაც ხართ. ეს სახალისო, აქტიური და სწრაფი თამაში. ბავშვს/ბავშებს აძლვთ ინსტრუქციებს თანმიმდევრულად:

- იპოვე ამ ოთახში ის ნივთი, ის რაც მწვანეა
- იპოვე, ის რაც წითელია
- ახლა იპოვე, რაც რბილია
- იპოვე ის, რაც ხისაა
- იპოვე პლასტმასის
- იპოვე ტკბილი
- იპოვე სტაფილოსფერი და ა.შ

თქვენი ინსტრუქციის შესაბამისად, ბავშვი იწყებს ოთახის თვალიერებას და შესაბამის ნივთზე ხელის დადებას. შემდეგ შესაძლებელია როლების გაცვლა, ახლა ბავშვი გაძლევთ ინსტრუქციას და თქვენ სწრაფად ეძებთ, პოულობთ და ადებთ ხელს.

9. ფერების ცნობა და შესაბამება

ვითარდება უნარები:

- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარის განვითარება;
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- A4 ზომის ფურცლები
- ბოთლის ფერადი თავსახურები ან პლასტელინები
- ფლომასტერები ან ფანქრები

აქტივობის აღწერა:

ფლომასტერის ან ფანქრის საშუალებით დაყავით ფურცელი ექვს ტოლ ნაწილად. თითოეულ ნაწილში დახატეთ წრეები და გააფერადეთ სხვადასხვა ფერის ფლომასტერით. თავდაპირველად, სასურველია, რომ წრეების რაოდენობა იყოს 3, ხოლო ნელ-ნელა შესაძლებელია მისი გაზრდა. სთხოვეთ, მოსწავლეს, რომ დააკვირდეს ფერებს და შეუსაბამოს ბოთლის თავსახურები. ბოთლის თავსახურების ნაცვლად, ასევე, შესაძლებელია პლასტელინების გამოყენება, რომლებსაც მისცემთ მრგვალ ფორმას.

10. რამდენიმე ელემენტიანი მიმდევრობების შექმნა

ვითარდება უნარები:

- აღქმა
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარის განვითარება;
- კანონზომიერება; რამდენიმე ელემენტიანი მიმდევრობის განხორციელება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- სხვადასხვა ბურღულეული და/ან მარცვლეული
- გამჭვირვალე ჭურჭელი (ჭიქა, ქილა ან ბოთლი)

აქტივობის აღწერა:

აიღეთ გამჭვირვალე ჭურჭელი და რამდენიმე სახის ბურღულეული ან მარცვლეული (სასურველია, რომ იყოს სხვადასხვა ფერის, მაგალითად, წიწიბურა, ბრინჯი, ოსპი, ლობიო და ა.შ.). ჩაყარეთ ჭურჭელში რომელიმე კონკრეტული მარცვლეული ისე (მაგ.. წიწიბურა), რომ ზედაპირი დაიფაროს, შემდგომ დააყარეთ სხვა მარცვლეული ისე, რომ წიწიბურა დაიფაროს. ჩაყარეთ ისევ წიწიბურა და სთხოვეთ მოსწავლეს, რომ აავსოს ჭურჭელი ნაჩვენები თანმიმდევრობით (2 ელემენტიანი მიმდევრობა). შესაძლებელია მიმდევრობის რაოდენობის გაზრდა, მაგალითად, წითელი ლობიო, თეთრი ლობიო, სიმინდი (3 ელემენტიანი მიმდევრობა).

11. კითხვის უნარის განვითარება

ვითარდება უნარები:

- წაკითხულის გაგება;
- ბგერებისა და მარცვლების სიტყვებად გაერთიანება;
- ფონოლოგიური ანალიზი და სინთეზის უნარის განვითარება;



აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- მუყაოს ერთჯერადი ჭიქები
- ფურცლები
- ფანქრები ან ფლომასტერები

აქტივობის აღწერა:

აიღეთ მუყაოს 2 ჭიქა. ერთ დააწერეთ „სწორია“, ხოლო მეორეს „არასწორია“. პატარა ფურცლებზე დაწერეთ სიტყვები, რომელთაგან ზოგი სწორადაა ჩაწერილი, ხოლო ზოგიერთი შეცდომით. მიაწოდეთ მოსწავლეს ფურცლები არეულად. სთხოვეთ, რომ წაიკითხოს სიტყვები და მოათავსოს შესაბამის ჭიქაში.

12. გეომეტრიული ფიგურების სწავლება და დაჯგუფება

ვითარდება შემდეგი უნარები:

- გეომეტრიული ფიგურების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული-თვალისა და ხელის შეთანხმებულად მოქმედება;
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- შემეცნებითი უნარები - დაჯგუფება, კატეგორიზაცია;
- ვიზუალური დისკრიმინაცია - და ფორმებში მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირების უნარი;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარი.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- მუყაოს ქაღალდი
- ფლომასტერები, საღებავები ან ფაქრები
- მაკრატელი

აქტივობის აღწერა:

მუყაოსგან გამოჭერით პატარა, მართკუთხედი ზომის 20-25 ფიგურა. მიღებული ფორმების შუაში ჩამოუსვით ხაზი ფერადი ფლომასტრით. მარჯვენა მხარეს დახატეთ რომელიმე ფიგურა, მაგალითად, სამკუთხედი, ხოლო მარცხენა მხარეს სხვა ფიგურა. გაიმეორეთ იგივე სხვა ფორმებზეც. კონკრეტული ფიგურა დახატეთ მხოლოდ ერთი ფერით, მაგალითად, წრეები - ყოველთვის ლურჯად, ოთხკუთხედები - წითლად და ა.შ. მიღებული მასალების ნახევარი დაიტოვეთ თქვენ, ხოლო ნახევარი მიეცით მოსწავლეს და დაიწყეთ სავარჯიშოს განხორციელება დომინოს თამაშის პრინციპის მსგავსად.

13. ნიმუშის მიხედვით ფერების შესაბამება



ვითარდება უნარები:

- აღქმა და ფერების გარჩევა;
- ვიზუალურ-მოტორული ანუ თვალისა და ხელის შეთანხმებულად მუშაობის უნარის განვითარება;
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება.

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- A4 ზომის ფურცლები
- ფლომასტერები ან ფანქრები
- მყარი (მუყაოს ქაღალდი) ან ხის ჩხირები

აქტივობის აღწერა:

A4 ზომის ფურცელზე დახატეთ მართკუთხედები. ორივე ბოლო გააფერადეთ სხვადასხვა ფერის ფლომასტერით. აიღეთ მყარი ფურცელი, დაჭერით მსგავსი ზომის მართკუთხედებად და შეღებეთ ბოლოები ფურცელზე დახატული ფერების ანალოგიურად. მიაწოდეთ მოსწავლეს და სთხოვეთ, რომ მუყაოს მართკუთხედები შეუსაბამოს ფურცელზე მოცემულ მსგავს ფორმებს ფერების მიხედვით.

14. ობობას ქსელი

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მსხვილი მოტორული უნარები
- პრობლემის გადაჭრის უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ქაღალდის ან რეზინის გრაგნილი
- ✓ დიდი ზომის სკოჩი

<u>აქტივობის აღწერა:</u> დაამაგრეთ ქაღალდის გრაგნილი ორ კედელს შორის სკოჩის საშუალებით ობობას ქსელის მსგავსად. სთხოვეთ ბავშვს გაძვრეს ერთი ბოლოდან მეორეში ისე, რომ ქაღალდი არ ჩამოვარდეს.

15. ხატვა ჩრდილების გამოყენებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითობა;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ რეზინის ან პლასტმასის სათამაშო ცხოველი
- ✓ ფურცელი
- ✓ ფანქრები
- ✓ მზიანი ამინდი :)

აქტივობის აღწერა: დადეთ სათამაშო ცხოველი ფურცლის წინ ისე, რომ მისი ჩრდილი ფურცელს ეცემოდეს. სთხოვეთ ბავშვს შემოხაზოს ცხოველის კონტური ფურცელზე ასახული ჩრდილის მიხედვით, შემდეგ კი მას შეუძლია სურვილისებრ გააფერადოს ნახატი.

16. სარეცხის სარჭებით თამაში

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარის განვითარების ხელშეწყობა

- ✓ ნატიფი მოტორული უნარების განვითარება
- ✓ აღქმა და ფერების გარჩევა
- ✓ ვიზუალურ-მოტორული უნარების განვითარება
- ✓ ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება
- ✓ ჯერის დაცვა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

- ○ ყუთი
- ○ ფერადი ფურცლები
- ○ ფერადი სარჭები

აქტივობის აღწერა: ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ ყუთი, რომელსაც გვერდებზე დააწებებთ რამდენიმე ფერის ქაღალდებს ან უბრალოდ გააფერადებთ მათ. ყუთის შიგნით მოათავსეთ ქაღალდის შესაბამისი სარჭები. ბავშვმა უნდა ამოიღოს თითო-თითო სარჭი, ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ხელით დაამაგროს ყუთის შესაბამის ფერის გვერდზე. თუ გინდათ ბავშვს ვასწავლოთ ჯერის დაცვა, შემოვიტანოთ დამატებით წესი, როდესაც ეუბნებით : „ჯერ, შენი ჯერია, ერთი შენ ამოიღე, ხოლო შემდეგ იქნებ ჩემი ჯერი“.

აქტივობის გამრავალფეროვნებისთვის, შეგიძლიათ აგრეთვე დაინიშნოთ დრო და ნახოთ რამდენ ხანში შეძლებს ყველა სარჭის თავის ადგილას მოთავსებას, შემდეგ კი ეცადოს გააუმჯობესოს წინა შედეგი.

17. ნიმუშის კოპირება ფანქრების გამოყენებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარის განვითარების ხელშეწყობა

- ✓ ნატიფი მოტორული უნარების განვითარება
- ✓ აღქმა და ფერების გარჩევა
- ✓ ვიზუალურ-მოტორული უნარების განვითარება
- ✓ ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი:

- ○ ფურცელი
- ○ ფერადი ფანქრები



აქტივობის აღწერა: ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ ფურცელი და ფერადი ფანქრები. დახატეთ ფურცელზე სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები ან/და კონსტრუქციები, აჩვენეთ ბავშვს, მიეცით ნიმუშზე გამოსახული ფერის ფანქრები და თხოვეთ ააწყოს მსგავსი ფიგურა. სურათზე მხოლოდ რამდენიმე მაგალითია ნაჩვენები, შეგიძლიათ შექმნათ სხვადასხვა სირთულის ნიმუშები. შეასრულეთ ეს



აქტივობა ბავშვებთან ერთად, ასევე, თამაშის



პროცესში დაასახელოთ ფერები და ფიგურები.

18. კლასობანა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარის განვითარების ხელშეწყობა

- ✓ მსხვილი მოტორული უნარების განვითარება
- ✓ მოტორული დაგეგმვა
- ✓ კოორდინაცია
- ✓ ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

- ○ ფერადი ფურცლები
- ○ სკოჩი
- ○ მაკრატელი

აქტივობის აღწერა: ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ ორი სხვადასხვა ფერის რამდენიმე ფურცელი. ერთი ფერის ფურცლები გამოჭერით მრგვალ ფორმაზე, ხოლო მეორე ფერით გამოჭერით ტერფების ფორმები, სკოჩით დაამაგრეთ იატაკზე (იხ. ნიმუში). თამაშის წესის მიხედვით, ბავშვი დგება ფურცლის წინ და იწყებს ხტუნვას ორივე ფეხით, მისი მიზანია, რომ ტერფებით დახტეს დახატულ ტერფებზე და ასე გავიდეს ბოლოში. შეგიძლიათ მოაწყოთ შეჯიბრი ოჯახის წევრებს შორის, ვინ უფრო სწრაფად მივა ფინიშამდე.

19. „კალათბურთი“

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარის განვითარების ხელშეწყობა

- *თვალისა და ხელის კოორდინაცია*
- *ორივე ხელის ურთიერთ შეთანხმებული მოძრაობის უნარი*
- *ყურადღების კონცენტრაციის უნარი*
- *მსხვილი მოტორული უნარი*
- *თვლა და რიცხვების შედარება*

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

- ყუთი ან კალათა
- A4 ფორმატის ფერადი ფურცლები

აქტივობის აღწერა: ბურთის დასამზადებლად საჭიროა მხოლოდ ქაღალდის დაკუჭვა. 1.5 ან 2 მეტრის მოშორებით დადგით კალათა. შესაბამის სიგნალზე სთხოვეთ ბავშვს ისროლოს კალათში ან ყუთში ბურთები, ჩაერთეთ თამაშში მშობლები და ოჯახის სხვა წევრებიც. ამ შემთხვევაში კიდევ ერთი უნარი ვითარდება - ჯერის დაცვა. თამაშის ბოლოს დაახარისხეთ ფერების მიხედვით, დაითვალეთ მიზანშ მოხვედრილი და აცდენილი „ბურთები“.

20. ბურთულა კოვზზე

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარის განვითარების ხელშეწყობა

- *წონასწორობის დაცვა*
- *თვალისა და ხელის კოორდინაცია*
- *ყურადღების კონცენტრაციის უნარი*
- *მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები*

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი

- კოვზი
- პატარა ზომის ბურთი ან მოხარშული კვერცხი

აქტივობის აღწერა:

ოთახში ან ეზოში 7-10 მეტრის დაშორებით გაავლეთ სასტარტო და ფინიშის ხაზები (ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ცარცი, თოკი, ჯოხები, წებოვანი ლენტი - ის რესურსი, რაც ხელმისაწვდომი და უსაფრთხოა, *სთხოვეთ ბავშვს დადგეს* სასტარტო ხაზზე, ერთი ხელით დაიჭიროს კოვზი (თუ ერთი ხელით უძნელდება დაიჭიროს ორი ხელით), რომელზეც პატარა ბურთულა ან მოხარშული კვერცხი იქნება მოთავსებული, ბავშვის ამოცანაა მივიდეს ფინიშის ხაზთან, ისე რომ არ დაუვარდეს ბურთი. ჩაერთეთ ოჯახის წევრები ამ თამაშში, ასე უფრო საინტერესო და სახალისო იქნება, ერთობლივი თამაში ემოციურ კავშირს აძლიერებს. თუ, თავიდან უძნელდება კოორდინაციის დაცვა, გამოიყენეთ ფიზიკური დახმარება.

21. ციფრები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების ხელშეწყობა:

- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი
- ნატიფი მოტორული უნარ ების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- მათემატიკური უნარების (რაოდენობის ცნება, რიცხვების ცნობა) განვითარება;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ქაღალდისგან გამოჭრილი ციფრები, ან პატარა ფურცლებზე დაწერილი ციფრები
- ✓ ბავშვისთვის საყვარელი სასუსნავი, მაგალითად ბატიბუტი, კრეკერი, ან დატეხილი პეჩენია
- ✓ პინცეტი
- ✓ პატარა ზომის ჯამები, ან თეფშები

<u>აქტივობის აღწერა:</u> განალაგეთ მაგიდაზე წინასწარ მომზადებული ქაღალდისგან გამოჭრილი ციფრები ჯამების წინ. მიეცით ბავშვს მისი საყვარელი სასუსნავი და პინცეტი. სთხოვეთ ბავშვს, ამოიღოს დიდი ჯამიდან სასუსნავი და ჩაალაგოს პატარა ჯამებში მის წინ მოთავსებული ციფრის შესაბამისი რაოდენობით. **პინცეტის მაგივრად შესაძლებელია იგივე პროცესის შესრულება „პინცეტისებური“ ჩაჭიდებით, ცერისა და საჩვენებელი თითების მეშვეობით**. გარდა სიტყვიერი ინსტრუქციისა, გამოიყენეთ მოდელირება, აჩვენეთ მაგალითი.

22. კოშკის აგება სარჭებისა და ჯოხების გამოყენებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარება:

- თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარ ება;
- შემოქმედებითობა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ სარეცხის სარჭები
- ✓ ხის სამედიცინო ჯოხები

აქტივობის აღწერა:

სარეცხის_სარჭებისა და ჯოხების გამოყენებით აჩვენეთ ბავშვს, თუ როგორ შეიძლება აიგოს კოშკი, სახლი.

ამისთვის, საწყის ეტაპზე ნელ-ნელა განალაგეთ ჯერ 4 ცალი სარჭი კვადრატული განლაგებით და დაადეთ ზემოდან 4 ხის ჯოხი. ამ პრინციპის დაცვით განაგრძეთ შენება (იხილეთ ნიმუში სურათზე).

23. იდენტური გამოსახულების პოვნა

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ✓ აღქმა და ფერების გარჩევა
- ✓ ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება
- ✓ იდენტური გამოსახულების პოვნა
- ✓ მეხსიერება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ერთჯერადი თეფშები ან მრგვალად ამოჭრილი თაბახის ფურცლები
- ✓ ფერადი ფლომასტერები

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობისთვის თქვენ დაგჭირდებათ ფერადი ფლომასტერები და ერთჯერადი თეფშები. ერთჯერადი თეფშების ნაცვლად შეგიძლიათ ასევე გამოიყენოთ მრგვლად გამოჭრილი თაბახის ფურცლები. დახატეთ ბავშვების ან თქვენი ორი იდენტური ფერის ხელი და ამოატრიალეთ თეფშები. ბავშვმა უნდა ამოატრიალოს ერთ-ერთი მათგანი და შემდგომ იპოვოს იდენტური ხელი სხვა თეფშებს შორის. მას აქვს უფლება ამოატრიალოს მხოლოდ ერთი თეფში და შემდეგ დააბრუნოს საწყის მდგომარეობაში და გააგრძელოს მისთვის საჭირო ნიმუშის ძიება.

საწყის ეტაპზე შეიძლება გქონდეთ მხოლოდ ორი ფერი, ხოლო შემდეგ კი ფერთა რაოდენობა გაზარდოთ.

24. საჰაერო ბურთისა და კუს დამზადება ფერადი ქაღალდებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა

- ✓ აღქმა და ფერების გარჩევა
- ✓ ნატიფი მოტორიკის განვითარება
- ✓ ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება
- ✓ ვიზუალურ სივრცითი უნარის განვითარება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ ფერადი თაბახის ფურცლები
- ✓ მაკრატელი
- ✓ ფერადი ფანქრები
- ✓ ქაღალდის წებო

აქტივობის აღწერა:

ამ აქტივობისთვის თქვენ დაგჭირდებათ მაკრატელი, ფერადი ფურცლები, ფერადი ფანქრები და ქაღალდის წებო. პირველ რიგში დახატეთ საჰაერო ბურთის კალათა ან კუს ფორმები. შემდეგ დაჭერით ფერადი ფურცლები ჰორიზონტალურად იმ სისქის რა სისქისაც ბავშვს შეუძლია და მოეწონება. შემდეგ აურიეთ ფერადი ფურცლები და რიგრიგობით დააწებეთ ისინი კონტურის შიგნით.

25. ხატვა კოქტეილის საწრუპის გამოყენებით

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:



- აღქმა და ფერების გარჩევა;
- სამეტყველო აპარატის განვითარება;
- მეტყველების განვითარება;
- ვიზუალურ-მოტორული უნარის განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება;
- შემოქმედებითობა;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ **აკვარელის საღებავი**
- ✓ **ფუნჯი**
- ✓ **კოქტეილის საწრუპი**
- ✓ **ქაღალდი ადამიანის სახის ნახატით**

<u>აქტივობის აღწერა:</u> დახატეთ ან ამობეჭდეთ ფურცელზე ადამიანის სახე. თმის ზრდის ადგილას ფუნჯით დააწვეთეთ საღებავი. კოქტეილის საწრუპით შეუბერეთ თავიდან ზემოთ (თმის ზრდის) მიმართულებით. ნახატი მზადაა! ეს აქტივობა შეასრულეთ ბავშვთან ერთად. წაახალისეთ თავად აირჩიოს ფერები, თავად დახატოს სახე, შემოგთავაზოთ ნახატის იდეები. სახის ნაცვლად შეგიძლიათ სხვა ნახატის შექმნაც. ეს აქტივობა გამოიყენეთ მეტყველების განვითარებისთვისაც.

26. ყუთში დამალული ნივთები

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- ტაქტილური აღქმის განვითარება;
- სივრცითი აზროვნების განვითარება;
- იდენტურის პოვნა;
- ფორმის ამოცნობა;
- კლასიფიკაცია;
- სახელდება;

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- ✓ მუყაოს ყუთი ან ტომარა
- ✓ სხვადასხვა საოჯახო ნივთი

<u>აქტივობის აღწერა:</u> ამ აქტივობისთვის თქვენ გჭირდებათ მუყაოს ყუთი. ამოჭერით ისე, რომ ბავშვმა შეძლოს ხელების ჩაყოფა. თუ ყუთი არ გაქვთ, გამოიყენეთ ტომარა. ყუთში ჩაალაგეთ სხვადასხვა ნივთები (კოვზი, ღილი, კუბიკი, სათვალე და ა.შ.). ნივთების რაოდენობას განსაზღვრავთ ბავშვის შესაძლებლობების მიხედვით. ბავშვი ყოფს ხელებს ყუთში და ცდილობს გამოიცნოს რა ნივთს მოკიდა ხელი. მეორე ვარიანტი: აჩვენებთ ან უსახელებთ რაიმე ნივთს (მაგალითად ღილს) და ეუბნებით მოძებნოს ასეთივე ყუთში. შეგიძლიათ გამოიყენოთ პლასტმასის ცხოველები და ფრინველები, გეომეტრიული ფიგურები და ა.შ.

გახსოვდეთ, დაიცავით უსაფრთხოება, ყველა ნივთი უნდა იყოს უსაფრთხო, მოერიდეთ ბასრ, წვეტიან ნივთებს

27. დახარისხება

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- *აღქმა და ფერების გარჩევა*
- *ვიზუალურ მოტორული უნარების განვითარება*
- *ნატიფი მოტორული უნარების განვითარება*
- *ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება*
- *საგნების გადათვლა*

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- **კვერცხების შესანახი კონტეინერი**
- **კონსტრუქტორი**

<u>აქტივობის აღწერა:</u> დავხატოთ ფურცელზე 10 მცირე ზომის წრე (კონტეინერის ბუდეებში რომ ჩაეტიოს) ეს წრეები გავაფერადებინოთ ბავშვს სხვადასხვა ფერად და გამოვაჭრევინოთ. ჩავალაგოთ სხვადასხვა ფერის წრეები კონტეინერში. ბავშვის ამოცანაა ყველა ფერის წრეს შეურჩიოს თავისავე ფერის ლეგო (ან სხვა ნებისმიერი იგივე ფერის საგანი). დაასახელოს ფერები და გადაითვალოს ლეგოების რაოდენობა.

28. სიტყვების თანმიმდევრობით დამახსოვრების აქტივობა

ვითარდება უნარები:

- მუშა მეხსიერება
- უშუალო ვერბალური მეხსიერების მოცულობა
- ყურადღების კონცენტრაცია
- კატეგორიზაცია

აქტივობის განხორციელებისთვის საჭიროა ოჯახის წევრების მოტივაცია და ჩართულობა

აქტივობის აღწერა:

სასურველია, ითამაშოთ მთელმა ოჯახმა ან ოჯახის სამმა წევრმა მანიც. კენჭისყრით აირჩიეთ თამაშის დამწყები, პირველი მოთამაშე ამბობს რაიმე სიტყვას, მაგ. სახლი, შემდეგ მეორე იმეორებს პირველი მოთამაშის მიერ ნათქვამ სიტყვას და ამატებს მეორე სიტყვას მაგ: სახლი, თევზი; შემდეგი მოთამაშე იმეორებს წინა ორ სიტყვას და ამატებს კიდევ ერთ სიტყვას: სახლი, თევზი, აგური და ა.შ. ბოლო მოთამაშის შემდეგ პირველი მოთამაშე იმეორებს ყველა ნათქვამ სიტყვას და ამატებს კიდევ ერთ სიტყვას და ა.შ.

კომენტარი: *წინასწარ შეთანხმდით, რა ტიპის სიტყვების გამოყენება შეგიძლიათ, მაგ: მხოლოდ ცხოველების, უსულო საგნების, ბოსტნეულის, გეომეტრიული ფიგურების და ა.შ, რაც კატეგორიზაციის უნარსაც ავითარებს.*

29. საპნის ბუშტებით თამაში

ვითარდება უნარები:

- თვალისა და ხელის კოორდინაცია
- ვიზუალური სტიმულის ფიქსირება

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

საპნის ბუშტების გასაკეთებელი სათამაშო.

აქტივობის აღწერა: გამოუშვით საპნის ბუშტები, ბავშვმა უნდა გააყოლოს თვალი, დაიჭიროს ხელით, გახეთქოს (უკეთესია ორი ხელით). თუ ბუშტი დავარდა იატაკზე და არ გასკდა, გახეთქოს - ფეხით.

.

30. საჰაერო ბუშტით თამაში

ვითარდება უნარები:

- თვალისა და ხელის კოორდინაცია
- თვალის მოძრაობა, მხედველობის ვიზუალურ სტიმულზე ფიქსაციის უნარი
- მხედველობითი აღქმა

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

საჰაერო ბუშტი.

აქტივობის აღწერა: გადაუგდეთ ბავშვს საჰაერო ბუშტი და წაახალისეთ, რომ ხელი დაარტყას. ამ შემთხვევაში სასარგებლოა ის, რომ ბურთი ნელა მოძრაობს და ბავშვი იძულებულია გააყოლოს თვალი ბურთს, სანამ დაიჭერს.

31. სარჭებით თამაში

აქტივობა ხელს უწყობს შემდეგი უნარების განვითარებას:

- ნატიფი მოტორიკა
- თვალისა და ხელის კოორდინაცია
- ყურადღების კონცენტრაციის განვითარება
- ხელების შეთანხმებული მოძრაობა

რესურსები:

- ფერადი სარჭები
- პატარა რბილი ბურთულები
- ქაღალდით დამზადებული ბურთულები
- გუაშები ან ფლომასტერები
- პატარა კონტეინერი

აქტივობის აღწერა: ბავშვთან ერთად გააფერადეთ ფურცლები, დახიეთ და უთხარით მისცეს პატარა ბურთის ფორმა (რამდენადაც გამოვა), დაყარეთ იატაკზე. აიღეთ სარჭები (სასურველია ორივე ხელში) და უთხარით ბავშვს, ორივე ხელით ერთდროულად ჩასჭიდოს სარჭი ბურთულებს, აიღოს და ჩააგდოს კონტეინერში, თუ ორივე ხელით ერთდროულად ვერ ახერხებს, ჯერ ისწავლოს ერთი ხელით.

- მოჭიდების სირთულის მქონე ბავშვებთან, დაიწყეთ სარჭებით, რომელებიც მსუბუქი დაჭერით იხსნება, შეგიძლიათ გამოიყენოთ ფერადი პინცეტიც

32. ემოციების დასახელება, გაცნობიერება

აქტივობა ხელს უწყობს შემდეგი უნარების განვითარებას

- ემოციების დასახელება
- ემოციის გამოხატვა სოციალურად მისაღები გზით
- ემოციების გაზიარება
- სენსორული სტიმულაცია

რესურსები:

- ფერადი ბუშტები
- ფქვილი, ბურღულეული, ან ნებისმიერი რამ, რასაც ბუშტში ჩაყრით
- ფლომასტერები, მარკერები



აქტივობის აღწერა: ბუშტებში ბავშვთან ერთად ჩაყარეთ ფქვილი (თუ შესაძლებელია, ზოგიერთში ფქვილი, ზოგიერთში, წიწიბურა, ლობიო, რომ ხელის მოკიდებისას სხვადასხვა ტაქტილური შეგრძნება იყოს), ბუშტებს დაახატეთ სხვადასხვა ემოციის სახეები: მხიარული, გაბრაზებული, მოწყენილი, დაღლილი, შეშინებული, იმედგაცრუებული, გაოცებული, ბედნიერი... დახატულ სახეებს შეგიძლიათ მიაწეროთ რა ემოციას გამოხატავს.

- აიღეთ რომელიმე ემოციის შესაბამისი ბუშტი:
  - თქვით რას გრძნობთ
  - თქვით, ეს ემოცია რა ქცევამ გამოიწვია (ახლა ან ადრე) აღწერეთ ქცევა
  - თქვით მსგავს სიტუაციაში, როგორი ქცევა იქნებოდა თქვენთვის მისაღები.

33. ემოციები და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა

მიზანი:

- ემოციების იდენტიფიცირება
- ემოციური ცნობიერება
- ნატიფი მოტორიკის განვითარება

რესურსები

- სქელი ფურცლები
- ფერადი ბუშტები
- მარკერები/ ფლომასტერები
- ტერფების / ან ხელის მტევნების სურათები

აქტივობის აღწერა:

- დახატეთ გულის /ფეხის ან ხელის მტევნის ფორმები
- გამოჭერით ბავშვთან ერთად, თუ თვითონ ვერ ჭრის, დაეხმარეთ ხელის ხელზე მოკიდებით
- გაბერეთ ბუშტები და გაკვანძეთ
- გამოჭრილ ქაღალდს შუაში მიაბით ბუშტი
- სხვადასხვა ფერის ბუშტებზე დახატეთ სხვადასხვა სახეები (მოწყენილი, ბედნიერი, გაბრაზებული, გაოცებული,შეშინებული, დაღლილი...)
- ამოირჩიეთ ბუშტი, დაასახელეთ ემოცია, თქვით როდის გრძნობთ ასე თავს
- უთხარით ბავშვს, თვითონაც აირჩიოს ბუშტი და ისაუბროს ამ ემოციაზე.

34. ამოვიცნოთ რამდენი ნახატია

მიზანი: დათვლა, ფერებისა და ფიგურების დასახელება, ვიზუალური ანალიზის უნარების განვითარება.

რესურსები:

თაბახის ფურცლები, ფლომასტერი, ფანქრები ან პასტელები)



აქტივობის აღწერა: ფურცელზე დახატეთ რამდენიმე ერთმანეთის გადამფარავი ფიგურა, კითხეთ რამდენი ფიგურაა ნახატზე, რა ფერის ფიგურებია, რა ქვია ამ ფიგურებს. შეგიძლიათ დახატოთ ცხოველის, ხილის, ბოსტნეულის ფორმის ფიგურები.

მარტივი ვარიანტი: დამატებითი რესურსი - მაკრატელი.

აქტივობის აღწერა: ჯერ დახატეთ და შემდეგ გამოჭერით დახატული ფიგურები. ერთმანეთს დაადეთ და გაიმეორეთ იგივე პროცესი. იმ შემთხვევაში თუ ბავშვმა არ იცის ფერები, ფორმები და დათვლა, თავიდან დაიწყეთ გადაფარული სურათების დათვლით, შემდეგ ჩასვით სახელდება (მართკუთხედი, სამკუთხედი...) და შემდეგ ფერები.

35. ნიმუშის მიხედვით ფიგურების განლაგება

ვითარდება უნარები:

- აღქმა - საგანთა გარჩევა ფერის, ფორმის და ზომის მიხედვით
- ვიზუალურ-სივრცითი უნარები
- ყურადღების კონცენტრაცია
- მხედველობითი მეხსიერება
- ნატიფი მოტორული უნარები

აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები:

- თაბახის ფურცელი
- კალამი
- გეომეტრიული ფიგურები





<u>აქტივობის აღწერა:</u>

თაბახის ორ ფურცელზე დახაზეთ ერთნაირი ბადეები. ერთ ფურცელი დადეთ ბავშვის, ერთი კი თქვენს წინ. განალაგეთ თქვენს ფურცელზე გეომეტრიული ფიგურები სხვადასხვა თანმიმდევრობით და სთხოვეთ ბავშვს ზუსტად იმავე თანმიმდევრობით განალაგოს. დასაწყისისთვის მნიშვნელოვანია რომ ბავშვი ხედავდეს ნიმუშს, ეტაპობრივად კი გაართულეთ აქტივობა-თქვენს ბადეს დააფარეთ ფურცელი და ბავშვმა დამოუკიდებლად განალაგოს ფიგურები. შესაძლებელია ნელ-ნელა გაზარდოთ როგორც ბადეში უჯრების რაოდენობა, ასევე ცვალეთ ფიგურების ფერი, ფორმა და ზომა.

36. თამაში „სიტყვობანა“

ვითარდება უნარები:

- ყურადღების კონცენტრაცია
- სმენითი მეხსიერება
- სახელდება, ლექსიკური მარაგის გაუმჯობესება
- ფონოლოგიური ანალიზი
- კატეგორიზაციის უნარი
- მსხვილი მოტორული უნარები

აქტივობის აღწერა:

- შესაძლებელია ითამაშოთ ოჯახის რამდენიმე წევრმა. მონაწილეები დგებიან წრეზე, პირველი ამბობს სიტყვას რომელიმე კატეგორიიდან და წრეზე დანარჩენებმა უნდა დაასახელონ იმავე კატეგორიის საგნები, მაგ: ცხოველები, ქალაქები, ხილი და ა.შ (შეგიძლიათ ამ ფორმით ასწავლოთ ახალი სიტყვები სხვადასხვა კატეგორიიდან, დაასახელოთ ბავშვისათვის უცნობი ქალაქები და სხვა).
- შესაძლებელია თამაშის გართულება: დაასახელონ რომელიმე კონკრეტულ ასოზე დაწყებული სიტყვები, მაგ: „ა“ ასო-ბგერაზე დაწყებული ცხოველები.
- მოცემული აქტივობა განსაკუთრებით სახალისოა ბურთის გამოყენებით. მაგ: პირველი მონაწილე ამბობს სიტყვას და ბურთს გადასცემს შემდეგ მონაწილეს, რომელიც ასახელებს იმავე ასოზე დაწყებულ რაიმე საგანს. შეგიძლიათ თამაშს მისცეთ შეჯიბრის სახეც.
- ეტაპობრივად შეგიძლიათ თამაში გაართულოთ ყოველმა მონაწილემ დაასახელოს პირველის მიერ ნათქვამი სიტყვა და დაამატოს ახალიც, მესამე მონაწილე იმეორებს პირველი და მეორე მოთამაშის სიტყვას და ამატებს ახალს. აქტივობა გრძელდება მანამ სანამ ერთ-ერთს არ შეეშლება მიმდევრობა.